დანართი 2

შეღავათებით მოსარგებლე იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ჩამონათვალი:

1. ცენტრის თანამშრომელი, რომელიც აქვეყნებს საკუთარ კვლევას და ეს კვლევა არ არის ცენტრის მიერ დაკვეთილი გეგმიური ნაშრომი;
2. მეცნიერ-მკვლევარი, რომელიც აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომს და აქვს სურვილი მასში ჩართოს ვიზუალური მასალა;
3. სასწავლო და სამეცნიერო ორგანიზაციები, რომლებთანაც ცენტრს აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
4. მეცნიერებ-მკვლევრები და სტუდენტები, რომლებიც მუშაობენ ფილოლოგიისა და ისტორიის (ძველი სასულიერო და საერო მწერლობა, წყაროთმცოდნეობა, დიპლომატიკა, საქართველოს ისტორია, ღვთისმეტყველება და პალეოგრაფია) განხრით;
5. სამეცნიერო და სასულიერო დაწესებულებები, რომელთა კვლევა მჭიდროდ არის დაკავშირებული ცენტრის ფონდებთან;
6. იურიდიული და ფიზიკური პირები დიდი რაოდენობით ასლების დაკვეთის შემთხვევაში.